ჰუალინგ დაზღვევა
საქართველო, თბილისი 0103, ქეთევან წამებულის გამზ. 1
(995 32) 2 921 921
INFO@HI.GE
WWW.HI.GE

ავტოტრანსპორტის დაზღვევის არსებითი პირობები
ავტოტრანსპორტის დაზღვევის ხელშეკრულების დანართი #3

1. <u>დაზღვეული რისკები და დაფარვები:</u>

1.1. სადაზღვევო შემთხვევას წარმოადგენს სადაზღვევო პერიოდში მომხდარი დაზღვეული ავტოტრანსპორტის დაზიანება ან მთლიანი განადგურება, რომელიც გამოწვეულია:

- **ავტოსაგზაო შემთხვევით**;
- **ხანძრით ან აფეთქებით;**
- **სტიქიური უბედურებით;**
- **საგნების ვარდნით;**

1.2. ასევე, სადაზღვევო შემთხვევას წარმოადგენს დაზღვეული ტრანსპორტის ან მისი რომელიმე ნაწილის დაკარგვა ან დაზიანება:

- **ვანდალიზმის შედეგად;**
- **ქურდობის, ძარცვის ან ყაჩაღობის ან მათი მცდელობის შედეგად;**
- **ქვედაფარვა: აქსესუარების დაზღვევა** ყველა (1.1. და 1.2. პუნქტში მითითებული) აღნიშნული რისკისგან.

1.3. დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების უფლებამოსილი მძღოლის მიერ ექსპლუატაციისას მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და/ან ქონებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობის დადგომა.

1.4. დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების უფლებამოსილი მძღოლის და მგზავრების უბედური შემთხვევისგან დაზღვევა.

1.5. დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე გაიცემა შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის ინდივიდუალური პოლისი. აღნიშნულ პოლისზე მთლიანად ვრცელდება წინამდებარე დანართით დადგენილი მოთხოვნები. ამასთან, ინდივიდუალური სადაზღვევო პოლისის გაცემა ხორციელდება დამზღვევის მიერ შევსებული შესაბამისი განაცხადის საფუძველზე, რომელშიც მითითებულია დამზღვევისათვის სასურველი რისკები. ხსენებული სადაზღვევო პოლისი და განაცხადი იქცევა ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

1.6. ერთი კონკრეტული დაფარვისთვის დადგენილი ლიმიტი/ქველიმიტი განკუთვნილია მხოლოდ ამ დაფარვისთვის და მისი ამუწურვის შემთხვევაში დაუშვებელია სხვა დაფარვისთვის განსაზღვრული ლიმიტის/ქველიმიტის გამოყენება.

1.7. დაზღვევა ვრცელდება მხოლოდ იმ დაფარვებზე, რომლებიც მითითებული იქნება სადაზღვევო პოლისში, მიუხედავად იმისა, ხელშეკრულების დანართები შეიცავენ თუ არა ინფორმაციას სხვა დაფარვებსა და რისკებზე.

2. <u>მხარეთა დამატებითი უფლებამოსილებები და ვალდებულებები:</u>

2.1. მზღვეველი უფლებამოსილია:

2.1.1. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და წესით ანაზღაურებისთვის აუცილებელი ყველა საჭირო დოკუმენტის მიღების საფუძველზე შედგენილი სადაზღვევო შემთხვევის აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებულია შესაბამისი ვადა კონკრეტული შემთხვევისათვის, ხოლო წინამდებარე დანართის 1.2, 1.3. და 1.4. პუნქტებით განსაზღვრული რისკებისა და დაფარვებისთვის - სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა ანაზღაურების გაცემისთვის აუცილებელი ყველა საჭირო დოკუმენტის მიღებიდან და სადაზღვევო შემთხვევის აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 1 (ერთი) თვის ვადაში. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, დამზღვევის (მოსარგებლის) მიერ მოწოდებულ საბანკო რეკვიზიტებზე თანხის გადარიცხვის გზით.

2.1.2. გადაავადოს ანაზღაურების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, თუ დამზღვევის, უფლებამოსილი მძღოლის, (მოსარგებლის) ან მისი წარმომადგენლის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

2.1.3. წინამდებარე ხელშეკრულების 1.3. ქვეპუნქტით გათვალისწინებული რისკისთვის, თუ დამზღვევსა (დაზღვეულს) და დაზარალებულებს შორის მიმდინარეობს დავა მომხდარი შემთხვევის გამო, მზღვეველი აანაზღაურებს ზარალს - კანონიერი ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების (დაზღვეულის/უფლებამოსილი მძღოლის მიერ მესამე პირისთვის (პირებისათვის) მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე) მზღვეველისთვის წარდგენიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში;

2.1.4. საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს დამზღვევის დაზიანებული ავტომანქანის დათვალიერება და ფოტოგადაღება, ასევე მონაწილეობა მიიღოს მესამე პირის დაზიანებული ან განადგურებული ქონების დათვალიერებასა და ფოტოგადაღებაში;

საქართველო, თბილისი 0103, ჟვანიას ფამფალეს 1
(995 32) 2 921 921
INFO@HI.GE
WWW.HI.GE

2.1.5. წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით შეადგინოს დაზიანებული ავტოსატრანსპორტო საშუალების (ასევე მესამე პირის დაზიანებული ან განადგურებული ქონების) შეკეთების/აღდგენის ღირებულების კალკულაცია (ხარჯთაღრიცხვა);

2.1.6. საჭიროების შემთხვევაში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს დამზღვევის მიმართ მესამე პირის მოთხოვნის (სარჩელის) დასაბუთებულობა, სიდიდე და მისი არსებობის საფუძვლიანობა.

2.1.7. მოითხოვოს დამზღვევისაგან (მოსარგებლისგან), რომ მან გადასცეს მზღვეველს საკუთრების უფლება და პირდაპირი მფლობელობა (პირდაპირ მფლობელობაში გადაცემა უნდა მოხდეს მზღვეველის მიერ მითითებულ ადგილზე) სადაზღვევო შემთხვევის გამო მზღვეველის მიერ შეცვლილი ავტომანქანის ნაწილებზე, დაზღვეული ავტომანქანის განადგურების გამო სრული სადაზღვევო თანხის გადაცემისას - განადგურებულ ავტომანქანაზე, ხოლო გატაცების გამო სრული სადაზღვევო თანხის გადაცემისას - დაკარგული ავტომანქანის პოვნის შემთხვევაში - ნაპოვნი ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე. შესაბამისად, დამზღვევი იღებს ვალდებულებას შეასრულოს ყველა ის ქმედება, რომელიც აუცილებელი და გათვალისწინებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით აღნიშნული მიზნის მისაღწევად. ამასთან, ხსენებული უფლების რეალიზაცია მზღვეველის მიერ შეიძლება განხორციელდეს ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე (მის ნაწილზე) საკუთრების უფლების გადმოსვლით ან დამზღვევის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების (მისი ნაწილის) რეალიზაციის შემთხვევაში, ფულადი ფორმით თანხის მიღების გზით, ამასთან ავტოსატრანსპორტო საშუალების (მისი ნაწილის) რეალიზაციასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს დამზღვევი წინასწარ ათანხმებს მზღვეველთან. დამზღვევის მიერ წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა ათავისუფლებს მზღვეველს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვალდებულებისგან, ხოლო თუ ასეთი ანაზღაურება უკვე გაცემულია, მზღვეველს ანიჭებს გაცემული თანხის უკან გამოთხოვის უფლებამოსილებას;

2.1.8. იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევის მიერ შეცვლილი ავტომანქანის ნაწილების/განადგურებული ავტომანქანის მზღვევლისთვის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემა არ ხერხდება წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით ობიექტური მიზეზების გამო (რაც არ არის დაკავშირებული დამზღვევის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევასთან ან მის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან) და მხარეები არ შეთანხმებულან დამზღვევის მიერ შეცვლილი ავტომანქანის ნაწილების/განადგურებული ავტომანქანის რეალიზაციაზე, ან/და განადგურებული ავტომანქანაზე რეგისტრირებულია სამართლებრივი შეზღუდვა/აკრძალვა ან/და გირავნობის უფლება ან/და არსებობის სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის მზღვეველზე საკუთრებისა და მფლობელობის უფლების გადმოსვლას, მზღვეველი უფლებამოსილია საკუთარი გადაწყვეტილებით შეცვლილი ავტომანქანის ნაწილების/განადგურებული ავტომანქანის ნარჩენი საბაზრო ღირებულება გამოქვითოს გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურებიდან ან, თუ ანაზღაურება უკვე გაცემულია, მოითხოვოს შეცვლილი ავტომანქანის ნაწილების/განადგურებული ავტომანქანის ნარჩენი საბაზრო ღირებულების ანაზღაურება დამზღვევისგან;

2.1.9. არ აანაზღაუროს ზარალი დამზღვევის მიერ წინამდებარე დანართით, სხვა დანართებით და/ან ხელშეკრულებით და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

2.1.10. არ აანაზღაუროს წარმოშობილი ზიანის ოდენობაზე მეტი თანხა იმ შემთხვევაშიც კი, თუ სადაზღვევო თანხა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისთავის აღემატება საბაზრო ღირებულებას;

2.1.11. თუ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის მომენტისათვის დამზღვევს ერიცხება რაიმე სახის დავალიანება, ანაზღაურების თანხიდან გამოქვითოს შესაბამის დავალიანების თანხა.

2.1.12. თუ წარმოშობილი ზიანის ოდენობა აღემატება სადაზღვევო თანხის 40 (ორმოცი) %-ს, ანაზღაურების თანხიდან გამოქვითოს როგორც გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია სრულად, ასევე გამომუშავებული სადაზღვევო პრემიის გადაუხდელი ნაწილი;

2.2. დამზღვევი ვალდებულია:

2.2.1. წინამდებარე ხელშეკრულების დასადებად და კონკრეტული დაზღვევის განსახორციელებლად წარმოდგენილ მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში (მაგალითად: ავტომანქანის გასხვისება, სადაზღვევო რისკის ხარისხის გაზრდა, ავტომანქანის გაუმჯობესება, ავტომანქანის გასაღების ან სიგნალიზაციის პულტის დაკარგვა და ა.შ) შეატყობინოს ამის შესახებ მზღვეველს წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა.

2.2.2. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 24 საათისა, აცნობოს ამის შესახებ მზღვეველის ქოლცენტრს/სატელეფონო ცენტრს სადაზღვევო პოლისში მითითებულ ნომერზე, ხოლო 2 (ორ) სამუშაო დღის განმავლობაში წერილობითი ფორმით გაუგზავნოს მზღვეველის შეტყობინება სადაზღვევო შემთხვევის შესახებ; ასევე, დაუყოვნებლივ შემთხვევის ადგილზე გამოიძახოს საპატრულო პოლიცია.

2.2.3. მიიღოს ობიექტურად შესაძლო ყველა ზომა დაზღვევის საგნის გადასარჩენად და ზიანის მაქსიმალურად შესამცირებლად;

საქართველო, თბილისი 0103, ქეთევან წამებულის გამზ. 1
(995 32) 2 921 921
INFO@HI.GE
WWW.HI.GE

2.2.4. მზღვეველის წარმომადგენლის მისვლამდე უზრუნველყოს სადაზღვევო შემთხვევის ადგილზე არსებული მდგომარეობის შენარჩუნება ობიექტური შესაძლებლობებისა და მოქალაქეობრივი უფლებამოსილების ფარგლებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნულის საწინააღმდეგო მითითება გაიცემა მზღვეველის მიერ და მზღვეველი მხოლოდ ზეპირი/სატელეფონო ინსტრუქტაჟით შემოიფარგლება;

2.2.5. გაუწიოს მზღვეველს სათანადო დახმარება, ხელი შეუწყოს, მიიღოს მონაწილეობა სადაზღვევო შემთხვევის გამომწვევი მიზეზების, მისი დადგომის გარემოებების, შედეგებისა და მიყენებული ზიანის სიდიდის სრულ და ობიექტურ გამოკვლევაში, დადგენასა და შეფასებაში, და არ იმოქმედოს მზღვეველის ინტერესების საწინააღმდეგოდ;

2.2.6. დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით მის მიერ მიღებული ნებისმიერი უწყების, შეტყობინების ან გზავნილის შესახებ;

2.2.7. საკუთარი უფლებამოსილებისა და შესაძლებლობის ფარგლებში ხელი შეუწყოს მზღვეველს მის მიერ რეგრესის უფლების განხორციელებაში;

2.2.8. დაუყოვნებლივ აცნობოს მზღვეველს ავტოსატრანსპორტო შემთხვევასთან დაკავშირებით მის წინააღმდეგ აღძრული ნებისმიერი სარჩელის თაობაზე და იურიდიულ პროცედურებზე, აგრეთვე გაცხადებულ ნებისმიერ პრეტენზიაზე;

2.2.9. ობიექტური შესაძლებლობის ფარგლებში ყველა ღონე იხმაროს დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის უსაფრთხოების დასაცავად;

2.2.10. მიანიჭოს სრული თავისუფლება მზღვეველს, რათა ამ უკანასკნელს მიეცეს საშუალება სურვილისამებრ ნებისმიერ დროს შეამოწმოს დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის მდგომარეობა;

2.2.11. ზედმიწევნით დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დებულების მოთხოვნა და მიაწოდოს მზღვეველს ყველა საჭირო და შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელიც თავის მხრივ, წარმოადგენს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საფუძველს;

2.2.12. ავტომანქანის მეთვალყურეობის გარეშე დატოვების შემთხვევაში, ჩაკეტოს იგი და ასევე ჩართოს სიგნალიზაცია (თუ ასეთით ავტომანქანა აღჭურვილია);

2.2.13. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაუყოვნებლივ აცნობოს აღნიშნულის შესახებ სამართალდამცავ ორგანოებს;

2.2.14. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას წარუდგინოს მზღვეველს ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები:

ა) განცხადება სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;

ბ) სადაზღვევო პოლისის ორიგინალი (სადაზღვევო პერიოდში პოლისის დაკარგვის შემთხვევაში, დამზღვევის წერილობითი განცხადების საფუძველზე გაიცემა პოლისის დუბლიკატი, ხოლო დაკარგული პოლისი ძალადაკარგულად ითვლება და მის საფუძველზე წარმოდგენილი მოთხოვნები ანაზღაურებას არ ექვემდებარება);

გ) შესაბამის უფლებამოსილი ორგანოების მიერ ოფიციალური ფორმით გაცემული (დამოწმებული უფლებამოსილი პირის ბეჭდით და ხელმოწერით) სადაზღვევო შემთხვევის დამადასტურებელი დოკუმენტი, ორიგინალის სახით; საგზაო შემთხვევისას - ცნობა საპატრულო პოლიციიდან დადგენილი ფორმით, სადაც აღნიშნული უნდა იყოს : ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილი და თარიღი, ავტოსაგზაო შემთხვევის ყველა მონაწილის ვინაობა, შემთხვევის მოხდენაზე პასუხისმგებელი პირი (პირები), აგრეთვე საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებები; ასევე საგზაო შემთხვევის სქემა; საჭიროების შემთხვევაში საექსპერტო (კონკრეტული რისკიდან გამომდინარე სახანძრო და სხვა შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული) დასკვნა;

დ) ავტოსატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო (ტექპასპორტის) მოწმობის ასლი; ორიგინალი კი - ქურდობის, ასევე სრული განადგურების შემთხვევაში;

ე) უფლებამოსილი მძღოლის მართვის მოწმობისა და პირადობის მოწმობის ასლი;

ვ) უფლებამოსილი მძღოლის სიფხიზლის ცნობა;

ზ) იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეული ავტომანქანა არ წარმოადგენს დამზღვევის (მოსარგებლის) საკუთრებას ანუ ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობაში მესაკუთრედ სხვა პირია მითითებული - ასეთი პირის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული წერილობითი თანხმობა მოსარგებლისათვის ანაზღაურების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ;

თ) თუ სადაზღვევო შემთხვევა გამოწვეულია მესამე პირის ქმედებით, მზღვეველს დამატებით უნდა წარედგინოს ამ პირის შესახებ შემდეგი ინფორმაცია: სახელი, გვარი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი;

ი) მოსარგებლის საიდენტიფიკაციო დოკუმენტი;

კ) ავტოსატრანსპორტო საშუალების სრული დაზიანების (განადგურების) და მზღვეველის მოთხოვნის შემთხვევაში - ცნობა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ გაცემული შესაბამის ორგანოს მიერ;

2.2.15. ამ დანართის 1.3. ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სადაზღვევო დაფარვაზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, 2.2.14. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, დამზღვევი ვალდებულია მზღვეველს წარუდგინოს ასევე შემდეგი დოკუმენტები:

ა) შეტყობინება დაზარალებული მესამე პირის (პირების) მიერ პრეტენზიის წაყენების შესახებ;

საქართველო, თბილისი 0103, ქუთაისი დამეგობრების მაჯ. 1
(995 32) 2 921 921
INFO@HI.GE
WWW.HI.GE

ბ) დოკუმენტები სამედიცინო დაწესებულებიდან, რომელთაც დაზარალებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე კომპეტენტური ექსპერტიზის ჩატარებისა და საექსპერტო დასკვნის გაკეთების უფლება აქვთ (საავადმყოფო ფურცლის ასლი, ცნობა მკურნალობის შესახებ, საექსპერტო კომისიის დასკვნა და სხვა);

გ) თუ დაზღვეულის გარდაცვალების გამო ან სხვა მიზეზთა გათვალისწინებით, სადაზღვევო ანაზღაურებას სხვა პირი იღებს, დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მოსარგებლის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლებამოსილებას, გარდაცვალების შემთხვევაში, ასეთი დოკუმენტია სამკვიდრო მოწმობა (რომელიც განსაზღვრავს მემკვიდრის წილს მამკვიდრებლის სამკვიდროში) ან სანოტარო წესით დამოწმებული განცხადება სამკვიდროს მიღების მოთხოვნის შესახებ, რომლის ძალითაც მოსარგებლე მითითებულია სამკვიდროს მმართველად და მინიჭებული აქვს სამკვიდროს მართვის/განკარგვის უფლებამოსილება,;

დ) იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეულსა და დაზარალებულს შორის მიმდინარეობს დავა მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით - ანაზღაურების გაცემის საფუძველია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ადასტურებს დამზღვევის პასუხისმგებლობის დადგომას მესამე პირთათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე, ამასთან, ანაზღაურების გაცემის საფუძველი არ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც დამზღვევი საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე თავად ცნობს სარჩელს ან მის ნაწილს მზღვეველთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე;

ე) მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

2.2.16. იმ შემთხვევაში თუ ავტომანქანას გააჩნია ერთზე მეტი ქარხნული გასაღები (სიგნალიზაციის პულტი), რაც მითითებული უნდა იყოს დამზღვევის განაცხადში, დამზღვევს (დაზღვეულს) ექსპლუატაციაში უნდა ჰქონდეს მხოლოდ ერთი ეგზემპლარი, ხოლო დანარჩენები შეინახოს საიმედო ადგილას. წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია, გატაცების რისკზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მოიხსნას ნაკისრი ვალდებულებები.

2.2.17. მუდამ თან იქონიოს დაზღვეული ავტომანქანის სარეგისტრაციო მოწმობა და არავითარ შემთხვევაში არ დატოვოს იგი ავტომანქანაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, მზღვეველს უფლება აქვს უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე ქურდობის, ძარცვის და/ან ყაჩაღობის შემთხვევაში;

2.2.18. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მზღვეველის საკუთრებაში გადაცემისას, წინასწარ დაფაროს ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელობასთან/ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი ადმინისტრაციული ჯარიმისა და/ან ავტომანქანის საჯარიმო სადგომზე ყოფნის ხარჯები (ასეთის არსებობისას) წინააღმდეგ შემთხვევაში, ხსენებული თანხები დააკლდება მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზრაურების სახით გასაცემ თანხას;

2.3. მომხმარებელთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა

2.3.1. მომხმარებელი უფლებამოსილია, ნებისმიერი პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, მიმართოს მზღვეველის მომხმარებელთა უფლებების დაცვის განყოფილებას ზეპირად, წერილობით ან ხელშეკრულებაში მითითებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (მზღვეველის ელექტრონული ფოსტა დაფიქსირებულია კონკრეტულ დაზღვევის ხელშეკრულებაში). პრეტენზიის ფორმის შევსება/ჩამოტვირთვა შესაძლებელია მზღვეველის ვებ.გვერდიდან - https://www.hi.ge/pretenziisporma. ასევე, თითეოულ დაზღვევის ხელშეკრულებას დანართი #4-ის სახით ერთვის პრეტენზიის ფორმა, რომელიც განთავსებულია დაზღვევის პირობებთან ერთად შემდეგ ელ.მისამართზე: https://www.hi.ge/autodazgvevispirobebi.

2.3.2. პრეტენზიის ფორმა საერთოა, როგორც მატერიალურად, ისე ელექტრონული ფოსტის საშუალებით წარმოსადგენი პრეტენზიისთვის, თუმცა ეს არ გამორიცხავს მზღვეველის მხრიდან ელექტრონული ფოსტის საშუალებით, ფორმის დაუცველად გამოგზავნილი პრეტენზიის განხილვას.

2.3.3. მზღვეველი ვალდებულია დამზღვევისგან პრეტენზიის მიღებიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში იმავე ფორმით უზრუნველყოს დამზღვევისთვის დასაბუთებული და არგუმენტირებული პასუხის გაცემა გამოხატულ პრეტენზიაზე. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული პრეტენზიის განხილვისთვის საჭიროა დამატებითი დოკუმენტების წარმოადგენა (რაზეც ხელი არ მიუწვდება მზღვეველს), იგი წერილობით ან ელ. ფოსტის საშუალებით მიმართვას დამზღვევს აღნიშნული დოკუმენტების წარმოდგენის მიზნით

3. <u>სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდგომ მესამე პირთა მიმართ უფლებების გადმოსვლა (რეგრესი). ორმაგი დაზღვევა. არასრული დაზღვევა. გადაჭარბებული დაზღვევა</u>

3.1. მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის (ზარალის ანაზღაურების) შემდეგ გადახდილი თანხების ფარგლებში მზღვეველზე გადმოდის მოთხოვნის უფლება, რომელიც დამზღვევს/დაზღვეულს აქვს/ექნება ზარალზე პასუხისმგებელ მესამე პირთა მიმართ. ასეთ შემთხვევაში დამზღვევი/დაზღვეული ვალდებულია სრულად ითანამშრომლოს მზღვეველთან ამ უფლების გადმოსაცემად, წინააღმდეგ შემთხვევაში, მზღვეველი იტოვებს უფლებას უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურებაზე და მოითხოვოს ზარალის სახით გადახდილი თანხების უკან დაბრუნება. დამზღვევი ვალდებულია ასეთი მოთხოვნის მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში დაუბრუნოს მზღვეველს მის მიერ მოთხოვნილი თანხა.

საქართველო, თბილისი 0103, ჟვანიას ფამფარულის ბაგზ. 1
(995 32) 2 921 921
INFO@HI.GE
WWW.HI.GE

3.2. დამზღვევი/მოსარგებლე ვალდებულია წერილობით შეაატყობინოს მზღვეველს ყველა სხვა სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ, რომელიც დადებულია დაზღვეულ ავტოტრანსპორტზე სხვა სადაზღვევო კომპანიებთან. ამასთან, დამზღვევი/მოსარგებლე ვალდებულია მიუთითოს სხვა სადაზღვევო კომპანიების სახელწოდება, მათთან დაზღვეული ავტოტრანსპორტი, სადაზღვევო რისკები და სადაზღვევო თანხების სიდიდე; თუ სადაზღვევო შემთხვევის მომენტში დაზღვეულ ავტოტრანსპორტზე მოქმედებდა სხვა სადაზღვევო ხელშეკრულებაც ანალოგიურ რისკებზე, მაშინ მზღვეველი გადაიხდის მასთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრულ სადაზღვევო თანხასა და ყველა სადაზღვევო ხელშეკრულების საერთო თანხას შორის პროპორციულ თანხას.

3.3. თუ სადაზღვევო თანხა ნაკლებია სადაზღვევო ღირებულებაზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის (შემცირებული ან არასრული დაზღვევა), მაშინ მზღვეველი ანაზღაურებს ზიანს სადაზღვევო თანხისა და სადაზღვევო ღირებულების შეფარდების პროპორციულობის მეთოდის შესაბამისად ანუ ანაზღაურება გაიცემა იმ პროპორციით, რა პროპორციაშიც არის სადაზღვევო თანხა დაზღვევის მომენტისთვის დაზღვეული ავტოტრანსპორტის სადაზღვევო/საბაზრო ღირებულებასთან მიმართებაში. ფრანშიზა გამოიქვითება პროპორციულობის მეთოდის გამოყენების შემდეგ.

3.4. თუ სადაზღვევო თანხა აღემატება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროს სადაზღვევო ღირებულებას, მზღვეველი არ არის ვალდებული აანაზღაუროს ნამეტი თანხა. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ ავტოტრანსპორტი დაზღვეული იყო გაზრდილ თანხაზე უკანონო გამდიდრების მიზნით, მზღვეველი თავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისგან სრულად.

4. დაზღვევის პირობები

4.1. I ნაწილი - წინამდებარე დანართის პირველი პუქნტის 1.1. და 1.2. პუნქტებში მითითებული დაფარვებისთვის:

4.1.1. მზღვეველი განახორციელებს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემას სადაზღვევო შემთხვევის მომენტისთვის ავტომობილის საბაზრო ღირებულების შესაბამისი თანხის ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს სადაზღვევო თახნისა ფრანშიზისა და ცვეთის გამოკლებით.

ან

4.1.2. მზღვეველი დამზღვევის (მესაკუთრის) სასარგებლოდ შეიძენს დაზღვევის განაცხადში მითიტებული მარკის, მოდელისა და სხვა მახასიათებლების შესაბამის მაგიერ ავტოტრანსპორტს სადაზღვევო თანხის ფარგლებში, ფრანშიზის გათვალისწინებით, **ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ანაზღაურების რომელი ფორმა უნდა იქნას შერჩეული, მხოლოდ მზღვეველის უფლებამოსილება და პრეროგატივაა და მზღვეველი იტოვებს უფლებას შეჩერდეს ნაკლები ღირებულების მქონე არჩევანზე.**

4.1.3. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემით მზღვეველი თავისუფლდება დამზღვევის წინაშე მასზე დაკისრებული ვალდებულებისგან გადახდილი/ანაზღურებული თანხის ფარგლებში;

4.1.4. იმ შემთხვევაში, თუ ავტომობილის დაკარგვა/განადგურებამდე გაცემული იყო ანაზღაურება და შესაბამისი სადაზღვევო თანხა/ანაზღაურების ლიმიტი შემცირებულია, ანაზღაურება განხორციელდება დარჩენილი ლიმიტის/სადაზღვევო თანხის ფარგლებში.

4.1.5. **ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში** მოქმედებს სადაზღვევო ანაზღაურების განხორციელების შემდეგი წესი: სადაზღვევო შემთხვევის დადასტურების შემდგომ და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მზღვეველი და დამზღვევი თანხმდებიან, რომ ზარალის შეფასება ხდება ერთობლივად, მხარეთა წარმომადგენლების მიერ, კერძოდ, ან დამზღვევი წარუდგენს მზღვეველს იმ ხარჯების ჩამონათვალს, რომლებიც საჭირო იქნება ავტოსატრანსპორტო საშუალების შესაკეთებლად (აღსადგენად), ხოლო იმ შემთხვევაში თუ მზღვეველი არ დათანხმდება წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვას, იგი, თავისი უფლებამოსილი ექსპერტის მეშვეობით განახორციელებს ხარჯების ობიექტურ კორექტირებას ამორტიზაციისა თუ სხვა არსებით გარემოებათა გათვალისწინებით; ან მზღვეველი თავად წარუდგენს დამზღვევს მზღვეველის უფლებამოსილი ექსპერტის მიერ შედგენილ ხარჯთაღრიცხვას. ამასთან, დამზღვევის მოთხოვნა შესაბამის ავტორიზებულ ავტო-ცენტრში მომსახურების მიღების თაობაზე მზღვეველის მიერ დაკმაყოფილდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეული ავტომანქანის ხნოვანება არ აღემატება 2 (ორ) წელს. თუ ავტომანქანის ხნოვანება 2 (ორ) წელს არ აღემატება და დამზღვევი მოითხოვს, მისი აღდგენა განხორციელდეს კონკრეტულ ავტო-ცენტრში და/ან აღდგენითი ღირებულება განისაზღვროს კონკრეტული ავტო-ცენტრის პუნქტის მიერ, მზღვეველი უფლებამოსილია, დამზღვევის/მოსარგებლის სასარგებლოდ გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურება გადარიცხოს უშუალოდ ასეთი ავტო-ცენტრის საბანკო ანგარიშზე. 2 (ორ) წელზე მეტი ხნოვანების ავტომანქანის შეფასება და მომსახურების მიღება განხორციელდება მხარეთა შორის ერთობლივად შერჩეულ მომსახურეობის მქონე შემკეთებელ საწარმოში. ამასთან, თუ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებულია დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების საბურავის დისკი ისე, რომ არსებული დაზიანებები ხელს არ უშლის ავტომანქანის უსაფრთხო ექსპლუატაციას, მზღვეველი აანაზღაურებს დაზიანებული დისკის შეკეთების/აღდგენის ხარჯს.

4.1.6. ზარალის შეფასების აქტის (ხარჯთაღრიცხვის) შედგენის შემდეგ დგება სადაზღვევო შემთხვევის აქტი, რომელიც არის მზღვეველის მიერ სადაზღვევოს ანაზღაურების გაცემის საფუძველი და რომლითაც მხარეები თანხმდებიან სადაზღვევო ანაზღაურების საბოლოო მოცულობაზე, რის შემდეგაც ანაზღაურების თანხა, წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი ვადებში

საქართველო, თბილისი 0103, ჭოთიკაანი დამბაჯის ბაღი. 1
(995 32) 2 921 921
INFO@HI.GE
WWW.HI.GE

გადაირიცხება დამზღვევის (მოსარგებლის) მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე. სადაზღვევო შემთხვევის აქტის ხელს აწერს როგორც მზღვეველი, ისე დამზღვევი. იმ შემთხვევაში თუ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით არსებობს სამართალდამცავი ორგანოების/სასამართლოს გადაწყვეტილება ან მათი მოთხოვნის საფუძველზე ჩატარებული შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნა, ასანაზღაურებელი თანხის განსაზღვრა მოხდება დასახელებულ დოკუმენტ(ებ)ში მითითებული თანხის ფარგლებში შესაბამისი ფრანშიზის/ცვეთის და/ან დავალიანების გამოკლებით (ასეთ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში;

4.1.7. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ნაწილობრივი დაზიანებისას მზღვეველი აანაზღაურებს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტომანქანის შეთანხმებულ შემკეთებელ საწარმომდე გადაყვანის (ევაკუაციის) ხარჯს, ერთჯერადად ერთი სადაზღვევო შემთხვევის ფარგლებში, ამასთან, სრული განადგურების შემთხვევაში შემკეთებელ საწარმომდე გადაყვანის (ევაკუაციის) ხარჯს მზღვეველის მიერ გაღებისას, ასეთი თანხა დააკლდება გასაცემ სადაზღვევო ანაზღაურებას.

4.1.8. იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველი და დამზღვევი ვერ შეთანხმდებიან ზარალის საბოლოო ოდენობაზე, ზარალის შეფასება მოხდება დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით. ამასთან, ზარალის შეფასებაზე გასაწევი ხარჯების რეგულირების საკითხი განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) იმ შემთხვევაში, თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება მზღვეველის სურვილითა და ინიციატივით, ასეთი შეფასებაზე გასაწევ ხარჯებს ფარავს მზღვეველი;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება დამზღვევის სურვილითა და ინიციატივით, ასეთი შეფასებაზე გასაწევ ხარჯებს ფარავს დამზღვევი;

გ) იმ შემთხვევაში, თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება მზღვეველისა და დამზღვევის ერთობლივი გადაწყვეტილებით, ასეთი შეფასებაზე გასაწევ ხარჯები თანაბრად ნაწილდება მზღვევლსა და დამზღვევს შორის.

4.1.9. თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის აღმოჩნდება, რომ სადაზღვევო თანხა ნაკლებია დაზღვეული ავტომანქანის სადაზღვევო ღირებულებაზე (საბაზრო ღირებულებაზე), მაშინ მზღვეველი აანაზღაურებს ზიანს სადაზღვევო თანხისა და სადაზღვევო ღირებულების (საბაზრო ღირებულების) შეფარდების შესაბამისად.

4.1.10. სრული განადგურების ან გატაცების რისკზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი თანხას დააკლდება ასეთი მომენტისათვის დამზღვევის მიერ დარჩენილი სადაზღვევო პერიოდისათვის გადასახდელი სადაზღვევო პრემიის (ასეთის არსებობისას) თანხა.

4.1.11. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, საჯარიმო სადგომზე ავტოტრანსპორტის დგომის/გაჩერების ხარჯები მზღვეველის მიერ ანაზღაურებას არ ექვემდებარება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები შეთანხმდნენ სხვა პირობაზე.

4.1.12. დაზღვევის საგნის სრულად განადგურების შემთხვევაში, დაზიანებული ავტოტრანსპორტის მზღვეველისათვის გადმოფორმების ხარჯებს სრულად აანაზღაურებს დამზღვევი/მოსარგებლე.

4.2. II ნაწილი - სამოქალაქო პასუხისმგებლობა მესამე პირთა წინაშე.

4.2.1. თუ უბედური შემთხვევა გამოწვეულია სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალებით, რამაც თავის მხრივ გამოიწვია მესამე პირის გარდაცვალება, სხეულის დაზიანება ან რაიმე სახის ქონებრივი ზარალი, მაშინ მზღვევლი აუნაზღაურებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის ხარჯებს იმ პირს (ან მის კანონიერ წარმომადგენელს), რომელსაც ეხება დაზღვევა ამ ხელშეკრულების მიხედვით.

4.2.2. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დადასტურების შემთხვევაში, სადაზღვევო თანხის ფარგლებში, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებითა და მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, ანაზღაურებას ექვემდებარება შემდეგი:

4.2.2.1. დაზარალებული მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობის და/ან ქონების გადასარჩენად ან ზიანის შესამცირებლად გაწეული მიზანშეწონილი ხარჯები;

4.2.2.2. მესამე პირის პრეტენზიასთან დაკავშირებული სასამართლო ან სასამართლოს გარეშე პრეტენზიის განხილვის ხარჯები, აგრეთვე სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გარემოებებისა და ზარალის ოდენობის დადგენის ხარჯები (აღნიშნული ხარჯების ანაზღაურება ხდება სადაზღვევო პოლისში მითითებული სადაზღვევო ლიმიტის 20%-ის ფარგლებში), თუ ისინი წერილობით იყო მზღვეველთან შეთანხმებული;

4.2.2.3. დაზარალებული პირისათვის კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გადასახდელი კომპენსაცია;

4.2.2.4. სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე მესამე პირთათვის მიყენებული ზიანის კომპენსაცია, თუ ამგვარი კომპენსაციის ოდენობა წერილობითი ფორმით არის შეთანხმებული მზღვეველთან და თუ დაზარალებული წერილობით დაადასტურებს, რომ მას არ გააჩნია არავითარი პრეტენზია სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით.

4.2.3. სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე კომპენსაციის/ანაზღაურების ოდენობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს პოლისით განსაზღვრულ სადაზღვევო ლიმიტს, გამოიანგარიშება შემდეგი წესით:

საქართველო, თბილისი 0103, ქეთევან წამებულის გამზ. 1
(995 32) 2 921 921
INFO@HI.GE
WWW.HI.GE

4.2.3.1. მესამე პირის გარდაცვალების ან ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში - მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობა:

ა) ხელფასი (შემოსავალი), რომელიც დაზარალებულმა დაკარგა, თუ იგი ნაწილობრივ ან სრულად შრომისუუნარო შეიქმნა;

ბ) დამატებითი ხარჯები, რომელებიც გამოწვეულია ჯანმრთელობის დაზიანებით, მათ შორის მკურნალობის, დამატებითი კვების, მედიკამენტების, პროტეზირების, ზედამხედველობის და მოვლის, სპეციალური სატრანსპორტო საშუალების შეძენის, პროფესიული გადამზადების ხარჯები, თუ დადგენილია, რომ დაზარალებულს ესაჭიროება აღნიშნული ტიპის დახმარება და არა აქვს მათი უფასოდ მიღების უფლება;

გ) ხელფასის (შემოსავლის) ნაწილი, რომელსაც დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში დაკარგავენ შრომისუუნარო პირები, რომლებიც დაზარალებულის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ ან უფლება ჰქონდათ მიეღოთ მისგან სარჩო (რეგულარული გადახდის სახით);

4.2.3.2. თუ მესამე პირ(ებ)ს ქონებრივი ზიანი მიადგება, სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში ანაზღაურებას ექვემდებარება:

ა) ქონების სრული განადგურების შემთხვევაში - დაკარგული ქონების საბაზრო ან აღდგენითი ღირებულება, ხელყოფილი ქონების სპეციფიკის გათვალისწინებით, გაუფასურების და დარჩენილი დეტალების, რომელთა გამოყენებაც კიდევ შესაძლებელია, ღირებულების გამოქვითვით;

ბ) ქონების ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში - დაზიანებამდე არსებულ მდგომარეობამდე მისაყვანად საჭირო შეკეთების ხარჯები.

4.2.4. სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული რამდენიმე ადამიანის სხეულის დაზიანების ან გარდაცვალების, ასევე, მესამე პირთა ქონების ხელყოფის შემთხვევაში, თუ მთლიანი ზარალის ოდენობა აღემატება ერთი სადაზღვევო შემთხვევისათვის გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის ლიმიტს, ანაზღაურება თითოეული დაზარალებულისთვის შემცირდება მიყენებული ზიანის საერთო ოდენობაში პასუხისმგებლობის ლიმიტის წილის გათვალისწინებით.

4.2.5. სადაზღვევო პოლისში სხვა ქველიმიტის/ლიმიტის არსებობის შემთხვევაში, ანაზღაურების ოდენობა იზღუდება ამგვარი ქველიმიტის/ლიმიტის გათვალისწინებით.

4.2.6. ერთი შემთხვევით გამოწვეული დანაკარგი განხილული იქნება ერთ სადაზღვევო შემთხვევად. არავის აქვს უფლება, ორჯერ მიიღოს ანაზღაურება წინამდებარე დაზღვევის თანახმად, ერთი და და იგივე ზიანისთვის ან ზიანის რომელიმე ელემენტისთვის.

4.2.7. მესამე პირისადმი მიყენებული ზარალის ასანაზღაურებელი მთლიანი თანხა, შემთხვევების რაოდენობის მიუხედავად, არ შეიძლება აღემატებოდეს პოლისით ამ დაფარვისთვის გათვალისწინებულ სადაზღვევო თანხას;

4.2.8. გამონაკლისს მოცემული სახის დაფარვისთვის წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც დაზარალებული წარმოადგენს:

ა) პირს, რომელიც უბედური შემთხვევის მომენტში მართავდა დაზღვეულ ავტომანქანას;

ბ) დაზღვეული პირის (ასევე უფლებამოსილი მძღოლის) ოჯახის წევრს, ასევე დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მგზავრს;

გ) დაზღვეულის დაქვემდებარებულს/თანამშრომელს მათ შორის არსებული ხელშეკრულების ძალით.

4.2.9. მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი, პასუხისმგებლობაზე, რომელიც წარმოშობილია ნებისმიერ სხვა კონტრაქტის ან შეთანხმების საფუძველზე, გარდა წინამდებარე ხელშეკრულებისა.

4.2.10. მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი ქონებისთვის მიყენებულ ზიანზე, რომელიც წარმოადგენს უფლებამოსილი მძღოლის საკუთრებას, მინდობილ საკუთრების სახით ინახება მასთან გადაიზიდება დაზღვეული ავტომანქანით ან ასეთ მანქანაზე მიმაგრებული ნებისმიერი მისაბმელით.

4.3. <u>III ნაწილი - წინამდებარე დანართის პირველი პუნქტის 1.4. პუნქტებში მითითებული დაფარვისთვის:</u>

4.3.1. მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისაგან დაზღვევისას ამ ხელშეკრულების შესაბამისად ანაზღაურებას ექვემდებარება მატერიალური ზიანი, რომელიც გამოწვეულია ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზღვეული ავტომანქანის ექსპლუატაციისას უფლებამოსილი მძღოლის და/ან მისი მგზავრების ჯანმრთელობის დაზიანებით/გარდაცვალებით;

4.3.2. მზღვეველი აუნაზღაურებს შესაბამისი სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებულ სადაზღვევო ანაზღაურებას იმ პირს (ან მის სრულუფლებიან კანონიერ წარმომადგენელს), რომელსაც ეხება დაზღვევა ამ პირობების მიხედვით.

4.3.3. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დადასტურების შემთხვევაში, თითოეულ დაზარალებულზე (ერთ პირზე) პოლისით განსაზღვრული ქველიმიტის/ლიმიტის ფარგლებში, ანაზღაურებას ექვემდებარება:

- გადაუდებელი ამბულატორიული მკურნალობის ხარჯები:
- სადაზღვევო შემთხვევის ადგილიდან სასწრაფო დახმარების მიერ დაზარალებულის სამედიცინო დაწესებულებამდე მიყვანის ხარჯი;
- სამედიცინო დაწესებულებაში ყოფნისა და მკურნალობის ხარჯი;
- კიდურების/ორგანოების დაკარგვისათვის გათვალისწინებული კომპენსაცია;

- დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში მისი მემკვიდრეებს აუნაზღაურდებათ:

- ქველიმიტის 100%, დაზარალებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის აღდგენისათვის უკვე გადახდილი თანხების გამოქვითვით; დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში, ანაზღაურების მიმღების არ არსებობის შემთხვევაში, მზღვეველი აანაზღაურებს მხოლოდ დაკრძალვის ხარჯებს, ლიმიტის ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დაკრძალვისთვის გაწეული ხარჯებისა.

4.3.4. გადაუდებელი ამბულატორიული მკურნალობისა და დაზარალებული პირის უახლოეს სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების ხარჯები გამოითვლება შესაბამისი სამედიცინო და ფინანსური დოკუმენტაციის/ქვითრების საფუძველზე;

4.3.5. სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობაზე გონივრულად და სამედიცინო ჩვენებით გაწეული მომსახურების ხარჯები, შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის განსაზღვრული თანხის ფარგლებში.

4.3.6. კიდურის/ორგანოს დაკარგვისათვის ასანაზღაურებელი თანხების ოდენობა გამოითვლება ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მიხედვით, სადაც 100%-ით ანაზღაურება უდრის შესაბამისი პასუხისმგებლობის ლიმიტს (დაზარალებულის ჯანმრთელობის აღდგენისათვის/ტრანსპორტირებისათვის უკვე გადახდილი თანხების გამოქვითვით):

ერთი თირკმელის დაკარგვა - 40%;

ერთ ყურში სმენის დაკარგვა - 15%;

ერთ ყურში სმენის დაკარგვა, თუ მეორეში სმენა უბედურ შემთხვევამდე იყო დაკარგული - 45%;

ერთ თვალში მხედველობის სრული და სამუდამო დაკარგვა -30%;

მხედველობის 60%-ზე მეტით დაკარგვა ერთ თვალში -20%;

მხედველობის სრული დაკარგვა - 100%;

ერთი კიდურის დაკარგვა - 40%.

4.3.7. რამოდენიმე ორგანოს დაზიანების შემთხვევაში, პირველი პროცენტული ანაზღაურების შემდეგ, ყოველი შემდგომ დამატებითი პროცენტი გამოითვლება პასუხისმგებლობის ლიმიტის დარჩენილი თანხიდან.

4.3.8. კიდურების დაკარგვაზე ან დაზიანებაზე გათვალისწინებული კომპენსაციის გადახდა ხორციელდება სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობის დასრულების და დაზიანების ხარისხის საბოლოო განსაზღვრის შემდეგ, მაგრამ მხოლოდ 1 წლის შემდეგ ორგანოს ფუნქციის მოშლის მომენტიდან, იმ პირობით, რომ ამ პერიოდში დადასტურდება ორგანოს ფუნქციის სრული მუდმივი მოშლა; აღნიშნული ერთ წლიანი პერიოდი არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც ორგანოს ფუნქციის სრული მუდმივი მოშლა იმთავითვე დადასტურებულია.

4.3.9. სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული რამდენიმე ადამიანის სხეულის დაზიანების ან გარდაცვალების შემთხვევაში, თუ მთლიანი ზარალის ოდენობა აღემატება ერთ სადაზღვევო შემთხვევისათვის გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის ლიმიტს, ანაზღაურება თითოეულ დაზარალებულ პირისათვის შემცირდება მიყენებული ზიანის საერთო ოდენობაში პასუხისმგებლობის ლიმიტის წილის გათვალისწინებით;

4.3.10. მთლიანი ასანაზღაურებელი თანხა, შემთხვევების რაოდენობის, დაზარალებულების რაოდენობისა და ზარალის მოცულობის მიუხედავად, არ უნდა აღემატებოდეს სადაზღვევო პერიოდისთვის პოლისით დადგენილ ლიმიტს;

4.3.11. არ ანაზღაურდება დაზაღვეული ავტომანქანის მძღოლის და/ან მგზავრების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება/გარდაცვალება, თუ ასეთი შემთხვევა დადგება ავტოსაგზაო შემთხვევის მომენტიდან 12 კალენდარული თვის გასვლის შემდეგ.

5. საერთო გამონაკლისები

მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი:

5.1. შემთხვევაზე, რომლის დადგომის დროს დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალება არ გამოიყენებოდა იმ მიზნით, რომელიც მითითებულია ან აღნიშნული იყო დაზღვევის განაცხადში და/ან დაზღვევის განაცხადში მითითებული ავტოტრანსპორტის გამოყენების პირობა შეცვლილია; ამავდროულად, თუ განაცხადში დაფიქსირებულია პირადი საჭიროება, ხოლო ავტოტრანსპორტზე გაცემულია შესაბამისი წესით ტაქსის ლიცენზია, მზღვეველის მიერ რაიმე სახის სადაზღვევო ანაზღაურება გაცემას არ დაექვემდებარება.

5.2. შემთხვევაზე, რომლის დადგომის დროს დაზღვეული ავტომანქანაში იმყოფებოდა შესაბამისი ავტოტრანსპორტის ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულის მიუხედავად მგზავრთა ის რაოდენობა, რომელიც ხელს უშლიდა ავტომანქანის მართვას ან საფრთხეს უქმნიდა დაზღვეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაში მყოფ ნებისმირი პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ნებისმიერი სახის ქონების უსაფრთხოებას;

5.3. შემთხვევაზე, რომელიც შედეგად მოყვა გასაღების ავტომანქანაში დატოვებას, გასაღების არაუფლებამოსილი მძღოლისთვის გადაცემას, მათ შორის ნებისმიერი დაცვის, პარკირების ან მსგავსი სამსახურისთვის გადაცემას; შუშის ჩაწეულ მდგომარეობაში ან კარის ღიად დატოვებას;

5.4. ცვეთაზე, კოროზიაზე, დაჟანგვაზე, თანდაყოლილ დეფექტზე, შეუსაბამო დაზიანებაზე, დეფექტური მასალის გამოყენებაზე და სხვა ბუნებრივ თვისებაზე, შეკეთებაზე ან შენაცვლებული ნაწილის იმ ღირებულებაზე, რომელიც მოხმარდა

დაზღვეული ავტომანქანის სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას ან დაზღვევის ძალაში შესვლის შემდეგ ავტომანქანის გაუმჯობესების მიზნით გაწეულ ხარჯებზე, თუ აღნიშნული გაუმჯობესება არ ყოფილა მზღვეველისათვის შეტყობინებული წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით;

5.5. დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების და საგარანტიო შეკეთების ხარჯებზე;

5.6. მუხრუჭების მექანიკურ ან ელექტრონულ წუნზე ან ამით გამოწვეულ ავტომანქანის დაზიანებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დამზღვევისათვის წინასწარ არ იყო ცნობილი აღნიშნულის შესახებ;

5.7. უშუალოდ დაზღვეული ავტომანქანის საბურავზე მიყენებულ დაზიანებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საბურავების ასეთი დაზიანებას, თავის მხრივ, შედეგად მოყვა დაზღვეულ რისკებს და ამავდროულად, ასეთი შემთხვევის შედეგად, გარდა საბურავის, ავტომანქანის სხვა ნაწილებიც დაზიანებულია და რომლის გამოც, დამზღვევი (მოსარგებლე) უფლებამოსილია, მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება ავტომანქანის ნაწილობრივ ან სრული განადგურების რისკზე;

5.8. დაზღვეული ავტომანქანის ტელე-აუდიო-ვიდეო აპარატურის ან/და ტენტების (რბილი სახურავი), გადასაფარებლების, ასევე სხვა არაქარხნული ნაწილების/დეტალების/აქსესუარების ან/და სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომრის ან/და მოწმობის გატაცებაზე ან დაზიანებაზე;

5.9. უბედურ შემთხვევაზე, დანაკარგზე ან დაზიანებაზე, რომლის ხდომილების დროს დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალება იმყოფებოდა დაზიანებულ, მართვისთვის გამოუსადეგარ მდგომარეობაში;

5.10. წინამდებარე ხელშეკრულებისა და სადაზღვევო პოლისში აღნიშნულის გარდა რომელიმე სხვა რისკზე;

5.11. იმ ქონებისთვის მიყენებულ ზიანზე, რომელიც წარმოადგენს დაზღვეული პირის საკუთრებას, მინდობილობით ინახება მასთან, ან რომლის გადაზიდვა ხორციელდება დაზღვეული ავტომანქანით ან/და ზარალი გამოწვეული დაზღვული ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე მიმაგრებული ნებისმიერი მისაბმელით;

5.12. შემთხვევაზე, რომლის დადგომის დროს ავტომანქანას მართავდა 20 წელზე ნაკლები ან 65 წელზე მეტი ასაკის უფლებამოსილი ან არაუფლებამოსილი მძღოლი, გარდა დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის ქურდობის/ძარცვა/ყაჩაღობით ან მათ მცდელობით მიყენებული დაზიანებისა;

5.13. შემთხვევაზე, რომელიც მოხდა ავტომანქანის მგზავრთა/ტვირთის გადაყვანის მიზნით გამოყენებისას ან ავტომანქანის გაქირავებისას, თუ ამგვარი გამოყენება არ იყო მითითებულ პოლისში, ასევე თუ შემთხვევა შედეგად მოყვა ავტომანქანის როგორც ტვირთის ტრანსპორტირებას, მისი დატვირთვის, გადმოტვირთვის, ასევე საზღვაო, სახმელეთო, სარკინიგზო ან სხვა სახის ტრანსპორტით, მათ შორის ლაფეტით გადაზიდვის ან ბუქსირით გადაადგილებას;

5.14. შემთხვევაზე, რომლიც მოხდა ავტომანქანის აეროდრომის ან აეროპორტის ტერიტორიაზე მართვისას, გარდა სპეციალურ ავტოსადგომზე მომხდარი შემთხვევებისა;

5.15. შემთხვევაზე, რომელიც მოხდა სამშენებლო ტერიტორიაზე/სამშენებლო მოედანზე ავტომანქანის ყოფნის ექსპლუატაციის დროს;

5.16. შემთხვევაზე, რომლიც მოხდა ავტომანქანის მძღოლის ალკოჰოლური ან ნარკოტიკული (ფსიქოტროპული) ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის დროს (მიუხედავად იმისა, ზარალი დაზღვეული ავტომანქანის უფლებამოსილი მძღოლის მიზეზით/ბრალით დადგა, თუ სხვა მესამე პირის მიზეზით/ბრალით); უფლებამოსილი მძღოლის თვითმკვლელობის ან თვითმკვლელობის მცდელობის ან ისეთი განზრახ ქმედებას, რომელიც მიზნად ისახავდა შემთხვევით გამოწვეული შედეგის დადგომას;

5.17. დამზღვევის ან მისი წარმომადგენლის განზრახ ან სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებზე;

5.18. გარემოებებზე, რომლიც ზრდის სადაზღვევო რისკის დადგომის ალბათობას, ცნობილია დამზღვევის ან მისი წარმომადგენლისათვის და ამის შესახებ მან დაუყოვნებლივ არ აცნობა მზღვეველს წერილობით ან მზღვეველს მიეწოდა ყალბი ან არასრული ინფორმაცია (დოკუმენტები) აღნიშნულის შესახებ;

5.19. შემთხვევაზე, რომელიც გამოწვეულია:

5.19.1. იონიზირებული რადიაციით, ბირთვული ან სხვა მავნე ნარჩენებიდან მიღებული რადიაციით ან დაბინძურებით;

5.19.2. რადიოაქტიური, ფეთქებადი, ბირთვული ნივთიერების შემცველი აირების ბუნებრივი მდგომარეობის ცვლილებით;

5.20. შედეგებზე, რომლიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია საომარი მდგომარეობით, დაპყრობით, სამოქალაქო ომით, მიუხედავად იმისა, აღნიშნული მდგომარეობა გამოცხადებულია სახელმწიფო ხელისუფლების მიერ თუ არა, განსაკუთრებული, საგანგებო, სამხედრო მდგომარეობით, მასობრივი არეულობით, აჯანყებით, ლოკაუტით, დიქტატორული რეჟიმით, ადგილობრივი ან სახელმწიფო ხელისუფლების ბრძანების თანახმად საკუთრების საზოგადო მფლობელობაში გადაცემით, კონფისკაციითა ან ჩამორთმევით, ტერორიზმით ან მისი ნებისმიერი გამოვლენით და სხვა ანალოგიური მიზეზებით;

5.21. შემთხვევებზე, როდესაც დამზღვევი (დაზღვეული) მესამე პირის წინაშე თავის ვალდებულებებს აღიარებს მზღვეველის წერილობითი თანხმობის გარეშე;

საქართველო, თბილისი 0103, ქუთაისი დამეგობრების მაჯ. 1
(995 32) 2 921 921
INFO@HI.GE
WWW.HI.GE

5.22. შემთხვევებზე, როდესაც დამზღვევი (დაზღვეული) დაზიანებულ ავტომანქანას აღდგენით-სარემონტო სამუშაოებს განახორციელებს მზღვეველთან შეუთანხმებლად;

5.23. ქურდობის შემთხვევაზე, თუ ასეთის დროს დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მოწმობა დატოვებული იყო გატაცებულ სატრანსპორტო საშუალებაში;

5.24. გაჩერებული დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების დაუდგენელი პირის მიერ ან/და დაუდგენელ ვითარებაში დაზიანების/განადგურების შემთხვევაში, თუ არ მოხდება მზღვეველთან ან საპატრულო პოლიციასთან დაუყოვნებლივი დაკავშირება და ადგილი ექნება მზღვევლის წარმომადგენლის მისვლამდე ავტომანქანის ადგილიდან დაძვრას;

5.25. შემთხვევაზე, თუ იგი დადგა დადგენილი პარკირების წესების დარღვევის გამო შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ დაზღვეული ავტომანქანის საჯარიმო გადაყვანის/გადაადგილების დროს, ასევე, საჯარიმო სადგომზე განთავსებისას;

5.26. თუ დაზღვეული ინტერესებთან მიმართებაში ადგილი ჰქონდა ორმაგ დაზღვევას, მაგრამ დამზღვევს ასეთი ორმაგი დაზღვევის შესახებ მზღვეველისათვის ინფორმაცია არ წარუდგენია წერილობითი ფორმით.

5.27. არაუფლებამოსილი მძღოლის მართვის დროს დამდგარი შემთხვევების ხარჯების ანაზღაურებაზე.

5.28 ავტოტრანსპორტზე, რომელიც გამოიყენება შემდეგი მიზნებისთვის:

ა) ასაფეთქებელი ნივთიერებების ტრანსპორტირებისთვის (როგორიც არის ნიტრო-გლიცერინი, დინამიტი თუ სხვა ნებისმიერ ასაფეთქებელი ნივთიერებები);

ბ) ნაყარ მდგომარეობაში, თხევადი გაზის (LPG), ნებისმიერი საწვავის თუ აალებადი ნივთიერებების ტრანსპორტირებისთვის;

გ) ქიმიური ნივთიერებების ან გაზის ტრანსპორიტრებისთვის (თხევად, კომპრესირებულ ან აირისებრ მდგომარეობაში);

დ) მგზავრთა/ტვირთის გადაყვანისთვის ან ავტოტრანსპორტის გაქირავებისას, ან სატაქსო მომსახურების გაწევისას;

ე) კონტრაქტორის ნებისმიერ მოძრავი ქარხნების თუ დანადგარების გადატანისთვის (რომლებიც არ განეკუთვნება საზოგადეობრივი გზებისთვის გადასაადგილებელ ტვირთს/ტრანსპორტს);

5.29. ავტოტრანსპორტზე, რომელიც სპეცილურად შექმნილია და ადაპტირებულია სამხედრო და/ან სამართალდამცავი ორგანოების მიერ ოპერაციების ჩასატარებლად;

5.30. ავტოტრანსპორტზე, რომელიც ნებისმიერი სახის რბოლებისთვის გამოიყენება;

5.31.ავტოტრანსპორტის ტელე-აუდიო-ვიდეო აპარატურის ქურდობა/ძარცვა/ყაჩაღობა ან დაზიანება (მათ შორის, ვანდალიზმის შედეგად), თუ პოლისით/ხელშეკრულებით სხვაგვარად არ იქნება განსაზღვრული. ამასთან, ეს გამონაკლისი არ ვრცელდება ქარხნული წესით დამონტაჟებულ ტეოე-აუდიო-ვიდეო აპარატურაზე;

5.32. ავტოტრანსპორტზე, რომელსაც არ აქვს გავლილი/არ გაუვლია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო ტექნიკური დათვალიერება.

(დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით).